



ჰეიკრობლით ანუ გეგონათ, რომ გუბერნ. წინამძღოლობაზე უწინდებური ჩვეულებრივი კანდიდატები გამოვიდოდნენ, და არ შესდგებოდა წინებით იმისთანა ძლიერი დასი, როგორც ესლა არის, და რომელმაც წამოაყენა თავის კანდიდატად თ. სიმონ წერეთელი. მხლა თქვენ წინებით ვალდებული ხართ ნ. წ—ლის წერეთელი არჩიოთ და ამის მხრე დაიჭიროთ. სიტყვა რადგანაც მიგიციათ ნ. წ—სთვის, გამოუცხადეთ მას, რომ რადგანც იმისთანა კანდიდატი გამოჩნდა, რომელსაც თქვენ უპირატესობას აძლევთ, ამიტომაც უკან მიგაქვთ თქვენი სიტყვა...

მერავითარ დარწმუნებამ და ლოლიკამ ვერ გასჭრა პირადი ინტერესებით გატაცებულს ნ. ლოლობერიძეზე.

მეორე დღეს მასთან მივიდა სამეგრელოს დეპუტაცია, რომელსაც წინამძღვრობდა ბახვა ბალავა.

მე წ. წ—ლის მოპირდაპირე დასის მხარე არ დაიჭირე და არ დაეხმარე, ჩვენ უნდა საუკუნოდ გამოგვეშვიდობოვო, განუცხადეს.

ქველამციის თუ რა ფასი აქვს ნ. ლოლობერიძესთვის სამეგრელოს, რომელიდამაც ყოველ არჩევანის დროს ბანკში და ნამეტურ მმართველისა 400—500 მეკენჭე ჩამოდის და დღემდის საითაც ლოლობერიძეთ სულსა და გულსა ჰსურდა, იქითვე იყვნენ, და დღეს კი ამისთანა გულ-გასაგპირი (მისთვის) ქადილი გამოუცხადეს. ამიტომაც საკვირველი არ არის, რომ მათ უფრო მომღბარად უბასუხა:

— რა თქმა მჭიროდა მაგაზედ თქვენგან! ბანკილამ გუბერნ. მარშლისათვის ჯამაგირის დანიშვნაზედ შეგატყვევო, რომ თქვენ ნ. წ—ლი არ გნებავდათ. მეც თქვენს სურვილს როგორ წაუვალ, მხოლოდ აშკარად არ შემოძლია, ვერ გამოვალ ნ. წ—ლის წინააღმდეგ, თორემ ისე რაც შემოძლია სულით და გულით თქვენი სურვილის ასრულების მოწადინე ვარ.

დიდად უკმაყოფილონი დაბრუნდნენ მეგრელებიც, რომელთა თვად-აზნაურობის წოდების დამტკიცება ნესტორ წერეთლის წყალობით ასე დაგვიანდა.

— ნუ გადმოსულა სიმონისაკენ, ჩვენ ვიცით და მან მაშინო! მართლაც, რა კი კრების საქმეები და ლოლობერიძეთ ქცევა შეიტყვეს, ესლავე „კინი-კინის“ (ჩამოდევია!) უთვლიან „ნიკო ლვანბერისა“.

იმერეთის მოწინავე კაცები, როგორც მოგახსენეთ, კრების უბედურად დასრულების დღის საღამოს შეიკრიბნენ, რომ აესრულებინათ თავიანთი დანაპირები და საქვეყნოდ გამოეცხადებინათ, რომ ისინი უარსკოფენ ამიერ ნ. და ბ. ლოლობერიძეებთან ყოველივე კავშირსა და ერთობას საზოგადო საქმეებში. ამ კრებაში იყვნენ, სხვათა შორის, უღირსი ალმ. ნიკარაძის ღირსეულნი ქალიშვილნი თ. ს. (თ. პ. წ—ის მეუღლე)

და თ. ნ. (თ. პ. მრ—ს მეუღლე) მეუღლეებითურთ, რომელიც მათდა სასახელოდ, იმ წამსვე, როგორც კი შეეტყოთ იუდასებრივი ლალატის ამბავი, მაშინვე გაეციხათ და საუკუნოდ გააომშვიდებოდნენ, პირველი ორი თავიანთ უღირს მამას და მეორე — სიმამრს. ბაღდინენ აგრეთვე სადგომილამ, რადგანც ამ დღესი ძღმასხანთან ერთად იღვნენ ერთს სახლში, რომელიც შეადგენს მისი ქალის-კნ. ს. საკუთრებს, და დღეს კი თავს არ ჰკადრეს მასთან დგომა. (მესამე დღეს რაინდ—ქალიშვილმა იძულებულ-ჰყო მამა მისი სახლი დაეცალა.)

როდესაც ამ შეკრებილებაში ერთმა ვილაცამ იკითხა: — დარწმუნებით გვითხრით, ს. წერეთლის გამოწვევაში იღებდნენ ლოლობერიძეები მონაწილეობას, თუ არა? — და მ. ლ—ძემ გადაჭრით მიუგო „არაფითაა“, იმ დღინდელ მწუხარებისაგან თვალ-ცრემლიანი კნენია სოფია წარმოსდგა, და სხვათა შორის, გულის გამგმერი კილოთი სიტყვა:

— მე ვახლავარ შვილი იმ უბედური მამისა... რომელსაც დღეს ხალხი... იუდას ეძახის!.. ჩემდა საუბედურად მისი გამართლება არ შემოძლიან... მართლ-და დამჩხა ნუგეში, რომ, უწყის ღმერთმა და თქვენც, დანარჩენი მისი ოჯახი პირნათლად არის ამ საქმეში... არც ერთს ჩვენთაგანს არავითარი პატიოსნური საშუალება არ დაუზოგავს, რომ ღირსეულს მხარეს დახმარებოდა... ნ. ლოლობერიძეზე მოგახსენებთ, რომ მას სიმ. წერეთლის გამოწვევაში მონაწილეობა არ მიუღია... ჩვენ მას გამოწვევის შემდეგ მხოლოდ მომხრეობას ესთხოვედით... მან გვიბასუხა, რომ ესლა გვიან არისო, მაგას უნდა დიდი ხნის ცდა და ბევრი ფულიო. ამასთანავე დასძინა, რომ თ. ნ. წ—ლისთანა სულელი... კაცი ჩემს სიცოცხლეში მეორე არ მინახავსო. რამდენჯერ წამოგწითლებულვარ, იმას რომ ტუტუცური ლაპარაკი დაუწყია, მაგრამ რა ექნათ, ძალა იმისაკენ არისო... ამაზედ მე უთხარე, რომ თუ კი ისე წახდა ქვეყანა, რომ უქრთამოდ არაფერი გაკეთდება, თუ კი ისე წასწამდა ჩვენში ნამუსი და პატიოსნება, უფულოდ საქვეყნო ბიკეთისკენაც კი ვერ მიიხრებოდა კაცს,—ჩვენც გვეზოგება და ვიზოვნით ფულებს-მეთქი.

— რადგან მასეაო, თუ ცდაც არ დააკელით, შეიძლება თქვენ გაიტანოთ... მეც ყოველ შემთხვევაში სულითა და გულით თქვენკენ ვარ, მხოლოდ ცხადად ვერ გადმოვალ თქვენსკენა... ჩვენ ჩვენს თავს ქრთამით მოქმედება არ ვკადრეთ და... შედეგი თქვენ უკეთ იცით, ბატონებო...

აუწერელი, გადმოუცემელი, უცნაური შთაბეჭდილება მოახდინა ამ სიტყვამ... სულ-განაბრით მამენელმა

შეკრებილებაში რამდენიმე წუთის შემდეგ ძლიერ ამოისუნთქა.

აკაკიმ და ძირილე ლორთქიფანიძემ, რომელნიც საიდამაც გაჩნდნენ შეკრებილებაში, რომ შეატყვეს, ლოლობერიძეები, ვითარცა საზოგადოებრივს ასპარეზზედ მოქმედნი პირნი, სამარადისოდ იმარხებიან, სინარულით ფრთა-ასხმულებმა წარმოსტყვეს მათზე ფილოზოფური სიტყვები. შეკრებილებაში, მთლად ლოლობერიძეთ ნამომხრეებთან შემდგარმა, ზრდილობით აცალა მათ ლაპარაკი და ბოლოს შენიშნა, რომ ლოლობერიძეების შესახებ თქვენ მიუდგომელად მსჯელობა არ შეგიძლიათ, წინათაც მათი წინააღმდეგნი იყავითო; ვინ არის დანაშაული, და გასაკიცხი ამ დღევანდელ თავდა-აზნაურთ კრებებში მოქმედებისათვის, ეს ჩვენ უკეთ ვიცით, გთხოვთ გვაცალოთო.

რამდენიმე წამის შემდეგ ბ. ნ. მ—მა წარმოსტყვა, რომ ლოლობერიძეთადმი დანაპირები შესრულებულ იქმნეს ასე: დაიწერის კოლექტიური წერილი, რომელშიაც საქვეყნოდ აღიარებულ იქმნეს, რომ ჩვენ დღეის იქით ესპობთ მათთან ყოველივე კავშირსა და ერთობას საზოგადო საქმეებში, მათის მოქმედების გამო თავდა-აზნაურთა კრებებში.

ბ. ვ. ა—ძემ იქვე დასწერა ამისთანა წერილი, რომელსაც რედაქცია დაუჭირა ანტ. ლ—ძემ და სხვა ხელის-მომწერთაც. ხელი მოაწერეს იმისთანა პირებმა, რომელნიც მართლაც ლოლობერიძეთ დასის „საუკეთესო და ძლიერ ბურჯებად ითვლებოდნენ.“

აქვე უნდა მოვიხსენიოთ, რომ სხვათა შორის ხელი მოწერილი აქვს ბანკის ორივე დირექტორებს, ხუთს წევრს ზედამხედველის კომიტეტისას, ერთს დირექტორის კანდიდატს, ერთს კასირს და ორს დამფარებელს. დანარჩენი ბანკში მოსამსახურეთაგანის უმრავლესობა დღემდინც წინააღმდეგნი იყვნენ ლ—ძეებისა...

მს საყურადღებო და შესანიშნავი წერილი, ნაყოფი ხანგრძლივის, საფუძვლიანის მოფიქრებისა და ბჭობისა, რომლის დამწერნი და ხელის-მომწერნი ხელმძღვანელობდნენ ანდაზით „ათჯერ გაზომე და ერთჯერ მოჭერო“, — დაბეჭდილია შტამის მე-22 №-ში და იქილამ გადმობეჭდილი დრუკების მე-121 №-ში...

(გაგზმელებს)

დღიური

მუშინდელს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი ამბავი, საქართველოს ეგზარხოსის მაღალ ყოვლად-სამღვდელო იოანე ნიკის მოსკოვის მიტროპოლიტად გადაყვანის თაობაზედ, როგორც დღევანდელის დებეშილამ შეიტყობთ, მართალი გამოდგა. მაღალ ყოვლად-სამღვდელო იოანე

ნიკი კი წაიყვანეს და რა შარტეც შეეძინა... გზავნიან—საქმე ის არის...

საშინელი, ნამდვილი ტფალიოსი სიტყვები დადგა ჩვენს ქალაქში. მისით ჰაერის მოძრაობა არ არის; ტფალიოსი სიტყვებით თუ მოიბრუნებოდა ცი სულს. წვიმას მოველით ზვეთ მანანასავით, მაგრამ სად არის; ვითი თვეა, წვეთი არ გვედარსა. სოფლის მოსავლისათვისაც კარგია ახლანდელი ღრთი ღაზათიანი შხაპუნა წვიმა...

1877 წელს ტფილისის კლასიკური გიმნაზიისთან დაარსდა ქველ-მომწერი საზოგადოება ამ გიმნაზიის ლაზარელების დასახმარებლად. საზოგადოება თუ ხელის—მოწერით, თუ შეწირულობითა და თუ კანცერტებითა და წარმოდგენებით აგროვებდა ფულს და ხელს უმართავდა სწავლა-შესრულებულ ყმაწვილ კაცებს, რომელთა უმალესს სასწავლებელში წასვლად უნდოდათ და აგრეთვე სხვა ლაზარელებისა.

საზოგადოების დაარსებამდე წლები წლის 1 იანვრამდინ, იგი ხუთის წლის განმავლობაში კეთილ საქმისათვის შემოსულა სულ 13,157 მან.; ამ ფულიდამ 4,900 მან. შემწეობა მიუციათ ღარიბ-ღირდებისათვის, ასე რომ ამ წელს საზოგადოების ხაზინაში რჩება კლ 8,130 მან.


ზომის რკინის გზის სტანციის შემდეგ ამბავს გვწერენ:

„27 ივნისს ჩვენის სტანციის პლატფორმაზედ მამაცოვის დუქანში მოხდა ერთი უბედური შემთხვევა: მამაცოვი მოვიდა სამი კაცა: ერთი მეტყველი, რომელიც მიგზავნებოდნენ სტანციასკენ. მსენი ჩამოხტნენ ამ მომენტსა და მივიდნენ ხსენებულ დუქანში და დასხდნენ სადილად. პურ-ჭამის დროს, ჯერ კიდევ არ იყვნენ ნასვამნი, მდლოლეს მეზურნის დოვანაზედ და ამისთვის მეზურნემ აიღო უჩუმრათ ბებუთი საცვეთელი და დაჭრა მდლოლეს მუცელში ქვეთან და დასჭრა ისე მძიმეთ, რომ მხოლოდ მეორე დღემდინ 28 ივნისსამდე საღამოს ექვს საათამდე იცოცხლებოდა.“

„ამაზედ, რასაკვირველია, მოვიდამასახლისი, შეჭკრეს დამნაშავე, მასთან კიდევ იმათი ამხანაგიც მიტროპოლიტის, რომელიც სრულებით დამნაშავე არ იყო იმ საქმეში. ბოლო აქეთ-იქით მიციდნენ და საწყალო მართალი კაცა ბიგოლა მეტყველი გააშვებინეს. დამნაშავე გავაგონეს რამის პრისტავთან, რომელსაც როგორც გავიგეთ, მაშინვე გაუშვიან.“

„საწყალი დაჭრილი კაცის ბედს კი არავინ არ გაჩნდა მოწყალე; მისი ექიმი რომ მოშველდებოდა ზედ, იქნება ეშველებოდა რამე.“

„დღესაც, 29 ივნისს, მკვლარი ტრონით გდია დუქნის წინ და...“



მასახლისისა და სუღიების ქორ-
ახლა განდა: აგროვებენ ფულს
სამდლოდ დამარხვისთვის და
სხედან იქვე დუქანში და ქე-
მეჭიანურესაც არ უშვებენ
და უკრავს ქიანურს; თუმცა
იყო მეჭიანურე, არ უკრავ-
თავის მეჭდრის ამხანაგის ხათრით,
ამ რა ძალა ჰქონდა: მამასახლისმა
სუღიამ უბრძანეს დაუკარო, თო-
შენც შენი ამხანაგის ადგილას
შენთანაა...

ტაბცისა

ზორაგველებთან, რომელნიც
გებან თფილისის ბაზრებში, უქ-
და დატარებთ 1 ივლისიდან
აგლისადამს.

ამცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

პირველის ხარისხის	— 1 გირ.	5 კ.
მეორის	— 1 გირ.	3 1/2
მესამის	— 1 გირ.	—

ფეიქილ. თორნიში გამომცხვარი:

პირველის ხარისხის	— 1 გირ.	5 1/2
მეორის	— 1 გირ.	4 კ.

ჭვარის-მამის პური:

პირველი ხარისხის	— 1 გირ.	6 კ.
მეორის	— 1 გირ.	5 კ.
მესამის	— 1 გირ.	4 1/2

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის	— 1 გირ.	9 კ.
მეორის	— 1 გირ.	7 კ.
სუვი	— 1 გირ.	15 კ.
მხერის ხორცი	— 1 გირ.	9 კ.

ღორის ხორცი:

პირველი ხარისხის	— 1 გირ.	— კ.
მეორის	— 1 გირ.	— კ.

უცხოეთი

მომიპტა. როგორც ტელეგრაფმა
ცნობა, ინგლისის ჯავშნიან სამ-
დრო ხომალდების აღმირალმა სეი-
რმა დაუშინა ზარბაზნები მეგობრის
კლასს ალექსანდრიას. ჯერ, სანამ
ზარბაზნებს დაუშენდა, აღმირალს
უბრძობია მეგობრის მთავრობისა-
თვის, ციხე-სიმაგრეების შენობა შეა-
რეთო; ამ გვარივე ბრძანება მოსვლია
სიბატეს ქედის (რომელიც მსმა-
ლის ექვემდებარება) ხონტქრისაგა-
ნა. ციხე-სიმაგრეების კეთება ამ ქა-
ნა ინგლისის ესკადრის დამუქრებას
დასწავებს და ამიტომ მუშაობა
და შესწყვიტოთ; თუ სისხლი
იღვარა ამ საქმის გამო, პასუხის-
მდებელი თქვენ იქნებით. შედგეს,
არაბი-ფაშის რჩევით, არ შეუწყვეტია
ალექსანდრიის ციხეების გამაჯრება და
მუშაობაც თავის მუქარა შეასრუ-
ნა.

— ალექსანდრიიდან იწერებინ,
რომ მთელი მეგობრის მერიტებში მოლ-
ლები ქრისტიანების წინააღმდეგ გა-
ლაშქრებას და სასტიკ ბრძოლას უქა-
ნებენ ხალხსაო. არაბი-ფაშა კი
მუშაობდა თოფ-იარაღს ურჩევს ეგვიპ-
ტელებსა.

— არაბი-ფაშისა და მსმალეთის
თავრობის კამისარის ღვრეში-ფაშის

შორის განხეთქილება ჩამოვარდნილა
ასე, რომ არაბი-ფაშა სთხოვს ხონ-
ქარს ღვრეში ისევე სტამბოლში მი-
იხმოს.

— პარიჟიდან იწერებინ, რომ საფ-
რანგეთის ნაფთ-საყუდელ ქალაქებში
დიდი მზადებაა ჯარებისა და სამხედრო
ხომალდებისაო. სხვათა შორის, ტუ-
ლონში ოცი დიდი ჯავშნიანი სამ-
ხედრო ხომალდია დამზადებულიო,
რომლითაც 30,000 კაცის გადაყენა
შეიძლება ერთი კვირის განმავლო-
ბაში მეგობრებშიო.

— ინგლისის ესკადრიდან გაგზავ-
ნილ მეზვერეებს აღმოუჩენიათ, რომ
ეგვიპტელებს 98 ზარბაზნი ჰქონიათ
დამზადებული ალექსანდრიის ციხეებ-
ზე და ყველა ამ ზარბაზნებს მეგობრის
სამხედრო ხომალდებისაკენ (ზღვისა-
კენ) ჰქონიათ პირი მიშვერილი.

— მეგობრის კონსულები და გან-
საკუთრებით საფრანგეთისა ძალიან
ცდილობდნენ თურმე, რომ საქმე
მშვიდობიანად გათავებულიყო და
ამისთვის რამდენჯერმე მოლაპარაკება
ჰქონიათ ქედითან და იმის პირველ
მინისტრთან რაგუბ-ფაშასთან; მაგრამ
რადგან ამათზე არაბი-ფაშას აქვს დი-
დი გავლენა და ეს-კი არაფერს არ
უთმობდა ინგლისის აღმირალს სეი-
მურს, ამის გამო ომის დაწყება თავი-
დამ ვერ აიცილეს.

მოგვეყავს შემდეგი წერილი „შრომი-
დამ“ ბ. ნიკ. ლოლობერიძის თხოვნით:

**ბატონს მიხეილ გიორგის-ძეს ბე-
ზიძის.**

როცა თქვენი წერილი, დაბეჭდი-
ლი წლევანდელს „შრომის“ № 22,
წავიკითხე, მე წინ წარმომიდგა სა-
ხელ-განთქმული ღონ-ძიხოტი ლამან-
ჩელი. როგორათაც ეს საკვირველი
ისპანიის რანდი თავის-თავს ვალდე-
ბულად რაცხდა ყოველს სხვის საქმე-
ში გარეადა მისაშველებლად, ვითომც
შეწუხებულის და დაჩაგრულის ადა-
მიანებისა, ისე თქვენც, ორპირველი
გმირო, გამოსარჩლებინართ თ. სიმ.
წერეთელს. მინ ბრძანდებით თქვენა?
რამდენათაც მე ვიცი, თქვენ არ
გქონდათ წლევანდელს თავდაზნა-
ურობის კრებაში ამორჩევითი ხმა,
თქვენთან მე დამოკიდებულება და
ვანწყობილება არა მქონია, ერთი სი-
ტყუაც არ გვითქვამს ერთმანერთისა-
თვის შესახებ წლევანდელის თავდა-
ზნაურთ კრებისა. მაშ რა ნება და
რა სიმართლე გქონდათ მოგვეწერათ
ჩემთვის შემოსხნებული წერილი,
რომელიც საფეა სხვა-და-სხვა კორე-
ბითა და ლანძღვით? რა დამსახურება
მიგიძღვისთ თქვენ, გუშინდელს მო-
სულს კაცს, წინაშე ჩვენის საზოგა-
დობისა, რომ შესახებ ამ საზოგადო-
ების საქმისა უკმაყოფილებას მიცხა-
დებთ მე ერთად თავდაზნაურობისა-
გან ამორჩეულ პირთან თავ. ნიქარა-
ძესთან? დასასრულ თქვენი უზრდე-
ლობა იქამდის მიღწევს, რომ გვეუ-
ბნებით, რომ თქვენ აღშფოთებული
ხართ ჩვენის მოქმედებით. თუ კი

მართლა გონება დაკარგული არ
გქონდათ ამ აუხსნელი აღშფოთები-
საგან, მოიფიქრეთ, თუ არა, როცა
სწერდით ბატონს. რამდენათ საინტე-
რესო იყო ჩემთვის ამ ამბის შეტყუა-
ბა, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება
თქვენი გრძობა? მკრწმუნეთ, რომ
ჩემთვის ეს ამბავი ისე საინტერესო
იყო, როგორც ცნობა, თუ რა მდგო-
მარეობაში არის ახლა გრძობა რომ-
ლისამე ჩინეთის მანდარინისა.

თუმცა გამოლაშქრებაში თქვენ
ემზავნებით ღონ-ძიხოტს, მაგრამ, მე-
ორეს მხრით, თქვენ მასთან შორის
ბრძანდებით. ლამანჩელი გმირი მო-
ქმედებდა ისე, როგორც მას წმინდა
სენილისი და დარწმუნება ამხილებ-
და. ლმერთა შეგცოდეთ, და მე ძალიან
ვეჭვობ, რომ თქვენ იმგვარივე პატი-
ოსანი გრძობით იყოთ აღტურვილი
თქვენს მოქმედებაში.

ამ ექვეში შემეყენა მე ერთმა საქ-
მემ, რომელსაც აქვე მოგახსენებთ.
რამდენიმე დროის შემდეგ, რაც თქვენ
ამოგირჩიეთ წვერად სააზნაურო ბან-
კის ზედამხედველის კომიტეტისა, თქვენ
დაგვიწყეთ ჩვენი, ბანკის გამგეობის
წევრებს, საუბარი, რომ გინდათ მუ-
თაისში სახლი შეიძინოთ და ამისათ-
ვის ფიქრობთ ბანკში დაგირაფოთ
თქვენი მრპირის მამული. თქვენ
გვარწმუნებდით, რომ ეს მამული
ძვირფასია, რომ მას არ შეეღვეით
10,000 მანეთად, მაგრამ, რადგანაც
ბანკი დაბა მრპირში გრძელ-ვალიანს
სესხს არ აძლევს, ხოლო მოკლე ვა-
ლიან სესხს 3,000 მანეთის მეტის გა-
ცემა არ შეიძლებაო, ამისათვის, მე-
ტი ღონე არ არისო, ამბობდით თქვენ,
უნდა დასჯერდეთ 300 თუმანს, რო-
მელიც თქვენ კიდევ ითხოვეთ. წა-
ვიდა დამფასებელი, ასწერა და დაფა-
სა მამული. აღმოჩნდა, რომ თქვენი
ძვირფასი მამული შესდგება ერთი
მეწიისაგან, რომელიც მდებარებენ
დაჯარდნილს დაბას მრპირს. ამ საქ-
მის გადაწყვეტაზედ გამგეობის სხდო-
მაში დავესწერო ერთი წერილი ზედამ-
ხედველი კომიტეტისა, ბ. ღარაბეული-
ძე, რომელმაც, როგორც საჯავახოს
მცხოვრებმა, კარგათ იცის მრპირის
გარემოება. რამდენათაც შეგვეძლო,
ყოველი მხრით გავსაჯეთ საქმე, და-
ვაფასეთ თქვენგან წარმოდგენილი გი-
რო 3,000 მანეთად და სესხად გადა-
ვიწყვიტეთ 1,800 მანეთა. ზოგნი ამ-
ბობენ, რომ შემოსხნებული მამული
3,000 მანეთათ, როგორც უკანას-
კნელად დაფასდა, არ ღირსო და,
მაშ სადამე, იმაში 1,800 მანეთის
სესხის მიცემაც ბევრიაო; მაგრამ, ვახ-
სოვთ, ამ სესხმა როგორ აგაშფოთათ
თქვენ, ბატონო ბეგიძე?! როგორც
სჩანს, თქვენ ძალიან ადვილათ გცოდ-
ნიათ აღშფოთება. ან კი რა გასა-
კვირველია? როცა სხვის საქმეში თქვენ
ისე აღშფოთდებით, რომ უმიზეზოთ
ლანძღვის წიგნს სწერთ იმისთანა კა-
ცებს, რომელთაც თქვენთან არაფე-
თარი დამოკიდებულება არა აქვთ, რა
გასაკვირველია იმ საქმეში, რომელ-

შიაც თქვენი პირადი ინტერესი უნდა
ვინა, თქვენ უსაფუძვლოდ უცდიდით
დეთ? თქვენ დაწყეთ ლაპარაკი, რომ
ასე ცოტა სესხი მტერობით გადაგი-
წყვიტეს, განსაკუთრებით ერთმა პირ-
მა გიმტერათ იმისთვის, რომ სამსა-
ჯულოში, სადაც თქვენ რაოდენიმე
სხდომაში თავს-მჯდომარეთ იყავით,
რამდენიმე საქმე წააგო, რომ თქვენ
ამ მცირე სესხს ხელს არ მოჰკიდებთ
და მიატოვებთ ბანკში სამსახურს,
რადგანაც იქ უწესოებას ხედავთ. მაგ-
რამ საკვირველი იყო ისე მცირე,
თქვენის სიტყვით, ფული რამდენიმე
დღის შემდეგ მიიღეთ და მხოლოდ
შემდეგ ამ სესხის გადაწყვეტისა ბანკ-
ში უწესოება დაინახეთ. უფრო გასა-
კვირველია, რომ ამ უწესოებაზედ
სხვა-და-სხვა პირებს ელაპარაკებოდით,
და მაზედ არაფერი განგიცხადებდით
არც ჩვენთვის, ბანკში მოსამსახურე-
ებისათვის, და არც საზოგადო კრები-
სათვის, თუმცა ამის ასრულება ადვი-
ლათ შეგვეძლოთ, როგორც წვერსა
ზედამხედველი კომიტეტისა, და კიდევ
მოვალეობა გაწვევდათ. უპირჩილე-
სად გთხოვთ ინებოთ და ამას იქით
მანც გვიჩვენოთ ეს უწესოება. იქ-
ნება მოხერხდეს წესიერების აღდგენა.
მს უფრო სასარგებლო საქმე იქნება
და უფრო შეადგენს თქვენს მოვალე-
ობას, მინემ უკმაყოფილების გამო-
ცხადება, რომელიც მომმართეთ შესა-
ხებ ჩემის მოქმედებისა თავდაზნაუ-
რობის კრებაში.

როგორი სულ-მოკლეობა, უაზრო
თავის-მოყვარეობა და ეგოიზმი გამო-
იჩინეთ თქვენ ზემო-აღწერილს საქ-
მეში? მსთქვათ, რომ ჩვენ შეეცდით
და ნაკლები სესხი მოგვეცით, მინემ
თქვენ გერგებოდით. როგორც ბან-
კის საზოგადოებისა და აგრეთვე ზე-
დამხედველის კომიტეტის წევრისათვის
თქვენთვის სასიამოვნოდ უნდა დარ-
ჩენილიყო, რომ გამგეობა ასე ფრთხი-
ლად და ხელ-მოქერით აძლევს სესხ-
სა. წინააღმდეგ ამისა თქვენ ჩვენი
გადაწყვეტილება მტერობას და შურის
ძიებას მიაწერეთ. როგორ ვერ განსა-
ჯეთ, მსაჯულო, ვის რა მტერობა
უნდა ჰქონდეს თქვენთან და ან რა
შურის-ძიება არის, რამდენიმე ასი მა-
ნეთით ნაკლები სესხის მიცემა? აქე-
დამ ცხადათ უნდა გამოიყენათ ის
დასკენა, რომ თქვენთვის კი შესაძლე-
ბელია ამ გვარი წერილმანი შურის-
ძიება.

ამ გვარივე გასაკიცხავი გრძობა
და ბავშური საქციელი გამოაჩინეთ
თქვენ თქვენს წერილში. ამ წერილ-
ში თქვენ აღიარებთ, რომ დარწმუ-
ნებული ხართ, რომ მე ვურჩიე თ.
სიმონ წერეთლის მომხრეებს მისი
დაბარება, რომ მე თვითონ მისი მო-
მხრე ვიყავი უკანასკნელს დღემდის
და რომ ამით უფოთი და მღელვა-
რება აესტენე ჩვენს საზოგადოებაში.
საკმაო იყო თქვენთვის გამოგვიკითხათ
ამაზედ თ. ს. წერეთლის პარტიის
თავი-კაცებისათვის. იმედი მაქვს, ისი-
ნი გეტყოდნენ თქვენ, რომ მე არაო-

დეს მათთვის არ მიჩნევა თ. სიმ. წყურთლის დაბარება, რომ მე ყოველთვის ეამბობდი ეს მარშლობას ვერ გაიტანს მეთქი და რომ სასარგებლოდ მისი კანდიდატურისა არ მიმოქმედებია. აქედამ თქვენ აღვიღად დაინახავდით, თუ კი ინებებდით დახატვას, რომ იმ შუოთში და მღელვარებაში, რომელიც, თქვენის სიტყვით, სიმ. წყურთლის მოწოდებამ აღძრა ჩვენს საზოგადოებაში, იმოდენათ მაქვს ბრალი, როგორც თქვენ გაქვთ ბრალი ახლანდელს მგე-ბრის არეულობაში.

დასასრულ ნება მომეცით საყვედურის მაგიერ, რომელსაც თქვენ უსაფუძვლოდ მიგზავნით, ერთი დარიგება მოგცეთ. მერწმუნეთ ეს დარიგება ძალიან გამოგადგებათ ცხოვრებაში, როგორც კაცს, ისე მსაჯულს. ნუ ერწმუნებით ყოველს სიტყვას და ხმას განუხილავთ და გამოუკვლევლად. თვით ანდაზა ამბობს, რომ ეს სოფელი სხვა-და-სხვა ხმებით და კორებით სავსე არისო. დამიჯერეთ, თქვენთვისაც უკეთესია, რომ გონიერი ადამიანები ყოველს ამბავს და ხმას არ ერწმუნებინან. ეს რომ ასე არ იყოს, მერწმუნეთ, ჩვენი საზოგადოება თქვენ ძალიან ცუდი თვალთ დაგვიწყებდა ცქერას, ისე ბევრი სათაკლო ხმები დადიან თქვენზედ ჩვენს კურთხეულს ქ. შუთისში.

ნიკოლოზ დოღობერიძე.
20 ივნისს 1882 წ.

თფილისის სამაშრნალო

ავათმეოფები მიიღებსან დილის რვა საათიდან თორმეტ საათამდის.

რ შაბათს განაღვიბი და დისიტევი—შინაგან ავათმეოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და სირურგიული ავათმეოფობისა; ბასურტოვი—ბუბიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმეოფობისა; ბაბაკვი და დანიელ-ბუკოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმეოფობისა.

სამ შაბათს. მინკევინი—სირურგიული ავათმეოფობისა; დისიტევი—შინაგან ავათმეოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმეოფობისა; ბასურტოვი—ბუბიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმეოფობისა; ბაბაკვი და დანიელ-ბუკოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმეოფობისა.

რ თხ შაბათს. დისიტევი და მირამანკვი შინაგან ავათმეოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმეოფობისა; ბასურტოვი—ბუბიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმეოფობისა; ბაბაკვი—ძარღვების სისუსტის ავათმეოფობისა.

სუთ შაბათს. დისიტევი—შინაგან ავათმეოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმეოფობისა; ბასურტოვი—ბუბიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმეოფობისა; ბაბაკვი—ძარღვების ავათმეოფობისა.

ზარა სეკეს. მინკევინი—სირურგიული ავათმეოფობისა; დისიტევი, მირამანკვი და დანიელ-ბუკოვი—შინაგან ავათმეოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმეოფობისა; ბასურტოვი—ბუბიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმეოფობისა; ბაბაკვი—ძარღვების სისუსტის ავათმეოფობისა.

ტიკური და სირურგიული ავათმეოფობისა; ბასურტოვი—ბუბიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმეოფობისა; ბაბაკვი—ძარღვების სისუსტის ავათმეოფობისა.

შაბათს. დისიტევი—შინაგან ავათმეოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმეოფობისა; ბასურტოვი—ბუბიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმეოფობისა; ბაბაკვი—ძარღვების სისუსტის ავათმეოფობისა.

განცხადებანი

გ. ნიკოლოზის-მე იოსელიანი იღებს თვისს ზანსიონში უმაწვილებს პიროვით მოსამზადებლად სხვა-და-სხვა სასწავლებლებში. აღრესი: მისაილოვის ქუჩა № 81. (5-2)

КИРПИЧНЫМЪ ЗАВОДИКАМЪ
ручные кирпичные прессы,
которые в сравнении съ другими методами фабрикации кирпича являются самыми выгодами и наиболее совершенными. Они нуждаются въ двухъ видахъ, чтобы приготовить 4000 кирпичей въ день и также отлично приспособляются къ заводу, тротуарныхъ, коридорныхъ плитъ и облицовочныхъ камней, извѣстныхъ, цементныхъ, песчаныхъ, шпалового кирпича и т. д. также въ случаѣ, на пожеланіе извѣстныхъ, въперѣ полукирпичныхъ, вафель. Присланы въ Европу.

LOUIS JÄGER Maschinen-Fabrikant
in Ehrenfeld-Köln a. Rhein (Germany).



ვამლევე დღიურად და თვეობით იაფათ მეტლიროვან ოთახებს, სასულად

„ლივადია“

გოლოვინის პროსპექტზედ. (20-11)

ინფლისის მალაზიაში ახლად მიღებულია დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვან. იქვე იხილება: ზარესინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პარნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100-93)

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება თფილისის წიგნის მალაზიებში
იზავ-არაკენი
ძილოვისაგან და სიბრძნე-სტრუდ-გან ვალექილი თ. რ. ერისთვის.

დაიბეჭდა და ისყიდება
ქვეყნის
ყარაგისუვილის
მოთხრობა,
მეთოთხმეტე ნაწილი.

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ ზარველის ნაწილიდან ვიდრე უკანასკნელ ნაწილამდინ მელიქიშვილის სტამბაში, ბატონ ნიკო პაბლაძესთან.

ისხილება
თფილისის წიგნის მალაზიებში ახლად გამოსული რუსულს ენაზე წიგნი.

Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Материалы для исторіи древней Грузии).

сост. Д. П. Пурцеладзе.
შუთისში ისყიდება შილოძეების მალაზიაში.

ფასი ერთი მანეთი

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკიანის ქართული წიგნის მალაზიაში

თამარ დედოფალი
შედგენილი
კ. ბ.—შვილისაგან
გამოცემს
საქ. ჭაჭინაძისაგან
ფასი ერთი აბაზი.

მართველი სტუდენტი

ამებს ბაკვეთილებს.
აღრესი — შავეროვის აგენსტეოში.

ბამოვიდა ცალკე წიგნათ
დრამა

სამშობლო!

ისხილება შავეროვის საბამოთში.
ფასი 60 კაპ. (20-1)

ტფილისში წყლის გაყვანაზედ

ტფილისის ქალაქის გამგეობა გამოიწვევს ტფილისში წყლის გაყვანის მსურველთ და ამასთანავე საუოველოთად აცხადებს რომ მსურველს თავის წინადადების მეტანა უზრავაში შეუძლიან სექტემბრამდე ამა 1882 წელსა.

წელის გაყვანის პროექტისა, სარჯი-აღრიცხვისა და წილობების ნახვა და გაცნობა შეიძლება:

რუსეთში: ტფილისის, პეტერბურგსა, მოსკოვის და ოდესის ქალაქებში გამოცემაში (უბრალებში) და ქ. პარმაის პრეზიდენტის კანცელარიაში;

სამშლავარ-გარეთ:
პარიჟში—ჟურნალის „Ingenieur“ რედაქციაში (rue Fidélité, 9);
ლონდონში—ჟურნალის „Engineering“ კანტორაში, 35-36 Bedford street, Strand, W. C.;

ბრიუსელში—à la direction du Commerce et des Conculats au département des affaires Etrangères;

ვენაში—ჟურნალის „Allgemeine Bau Zeitung“-ის კანტორაში, Wallerheims Verlag, Tabors trasse, 52 და

ბერლინში—ჟურნალის „Deutsche Bau Zeitung“-ის რედაქციაში, Bahnhofstrasse, 4, Berlin S. W. (3-1)

დაიბეჭდა და ისყიდება
კვიანის ქართული წიგნის მალაზიაში
ნიკოლოზის

საერთო ძეგლობის
თხზულებს
ანტონ შურცელოძის
გამოცემული
ზაქარ შიკინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი მანეთი

ბოლგარულ-ინგლისური ბუთანი
ნმარდისა მსურველთ შეუძლიანთ იწერონ თ. ა. კაპინოვიანისაგან, მედიც არის აკენტი ბ. გოგარდისაგან, ჭანტარა შეპინოვისა არის ტფილისის ქალაქში, აწწრუნის სასაზში, დეცავის ქუჩაში. (6-1)

ბრიტოროვის წიგნის მალაზიაში
ლის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოსელიანი (ოკრუტის სულს ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადო გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კაპ.
ხატურა — — — 10 კაპ.

ახალი მართული

კარაბაღინი

ისყიდება ტფილისში: შავეროვის და გრიჭოვის წიგნების მალაზიაში; შუთისში: მურადოვის და ჭაჭინაძის წიგნების მალაზიაში.

ფასი ჯლიანის მართი მანეთი. (3-3)

მერვე ჭლასის გიმნაზიელი
ამლევეს გაკვეთილებს

აღრესი „დრეკების“ რედაქციაში (6-6)